საქმის დასახელება - ლ. ლიტვის წინააღმდეგ

საჩივრის ნომერი - 27527/03

მოპასუხე სახელმწიფო - ლიტვა

გადაწყვეტილების მიღების თარღი - 11.9.2007

შედეგი: სასამართლომ საქმე ნაწილობრივ დაუშვებლად ცნო, არ დარღვეულა მე-3 მუხლი, დაირღვა მე-8 მუხლი

საკვანძო სიტყვები:

(მუხლი მე-3) წამების აკძალვა
(მუხლი მე-3) დამამცირებელი მოპყრობა
(მუხლი მე-3) არაადამიანური მოპყრობა
(მუხლი მე-8) პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივეისცემის უფლება
(მუხლი მე-8) პოზიტიური ვალდებულებები
(მუხლი მე-8-1) პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლება
(მუხლი 35-ე) დასაშვებობის კრიტერიუმი
(მუხლი 35-1) შიდა სამართლებრივი საშუალებების ამოწურვა
(მუხლი 41-ე) სამართლიანი დაკმაყოფილება-ზოგადად
(მუხლი 46-ე) გადაწყვეტილების სავალდებულო ძალა და აღსრულება
(მუხლი 46-2) გადაწყვეტილების აღსრულება
(მუხლი 46-2) ზოგადი ხასიათის ღონისძიებები
პროპორციულობა

© ევროპის საბჭო/ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 2012 წელი. თარგმანი მომზადებულია ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა მიზნობრივი ფონდის მიერ (www.coe.int/humanrightstrustfund). თარგმანი არ ავალდებულებს სასამართლოს. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ სრული მითითება საავტორო უფლების შესახებ დოკუმენტის ბოლოს.

© Council of Europe/European Court of Human Rights, 2012 [or subsequent year]. This translation was commissioned with the support of the Human Rights Trust Fund of the Council of Europe (www.coe.int/humanrightstrustfund). It does not bind the Court. For further information see the full copyright indication at the end of this document.

© Conseil de l'Europe/Cour européenne des droits de l'homme, 2012 [ou année suivante]. La présente traduction a été effectuée avec le soutien du Fonds fiduciaire pour les droits de l'homme du Conseil de l'Europe (www.coe.int/humanrightstrustfund). Elle ne lie pas la Cour. Pour plus de renseignements veuillez lire l'indication de copyright/droits d'auteur à la fin du présent document.

საინფორმაციო შეტყობინება სასამართლოს პრეცედენტულ სამართალზე #100

აგვისტო-სექტემბერი, 2007

ლ. ლიტვის წინააღმდეგ - 27527/03
გადაწყვეტილება 11.9.2007 [II სექცია]

მე-8 მუხლი

მუხლი 8.1

ოჯახური ცხოვრების პატივისცემა

პირადი ცხოვრების პატივისცემა

აღსრულებისთვის აუცილებელი კანონმდებლობის არ მიღება, რაც ტრანსექსუალს სქესის შეცვლისა და ოფიციალურ დოკუმენტებში სქესის მინიშნების შეცვლის საშუალებას მისცემდა: *დარღვევა*

41-ე მუხლი

სამართლიანი დაკმაყოფილება

სამართლიანი დაკმაყოფილება სახელმწიფოს მხრიდან აღსრულებისთვის საჭირო კანონმდებლობის არ მიღებისთვის: *სახელმწიფო ვალდებულია დადგენილ დროში მიიღოს შესაბამისი კანონმდებლობა, ან შეუსრულებლობის შეთხვევაში არამატერიალური ზიანის სანაცვლოდ კონკრეტული თანხა გადაიხადოს.*

ფაქტები: განმცხადებელი დაბადების მომენტში 1978 წელს დაარეგისტრირეს როგორც გოგო, მაგრამ ადრეული ასაკიდანვე საკუთარ თავს ბიჭად თვლიდა და 1997 წელს სამედიცინო კონსულტაცია გაიარა სქესის შეცვლასთან დაკავშირებით. მიუხედავად იმისა, რომ მას ტრანსსექსუალობა დაუდგინდა, თავიდან მისი ექიმი უარზე იყო დაეწყო ჰორმონალური თერაპია, რადგანაც არ იყო დარწმუნებული, რომ სქესის სრულად შეცვლა კანონიერად შესაძლებელი იყო. შესაბამისად ის იძულებული გახდა დაეწყო ჰორმონალური მკურნალობა არაოფიციალურად. 2000 წელს ახალი სამოქალაქო კოდექსის მიღების შედეგად, რომლითაც პირველად მოხდა ლიტვურ კანონმდებლობაში სქესის შეცვლის ოპერაციაზე უფლების აღიარება, განმცხადებელმა გაიკეთა ნაწილობრივი შეცვლის ოპერაცია. თუმცა ის შეუთანხმდა ექიმს, რომ ქირურგიული ჩარევის მომდევნო ეტაპებს გაივლიდა, მას შემდეგ, რაც სქესის შეცვლის პირობებისა და პროცედურის განმსაზღვრელ კანონმდებლობას მიიღებდნენ. აღსრულებისთვის საჭირო კანონმდებლობის მიღება ჯერაც ვერ მოხერხდა პარლამენტში ამ კანონპროექტის მიმართ ძლიერი წინააღმდეგობის გამო. განმცხადებელს ეროვნული კანონმდებლობის მიხედვით კვლავ მდედრობითი სქესი აქვს და მიუხედავად იმისა, რომ მას უფლება მისცეს შეეცვალა სახელი და აერჩია სქესის მიმართ ნაკლებად სენსიტიური სახელი, მისი პირადი კოდი მის ახალ დაბადების მოწმობაზე და პასპორტზე, ასევე უნივერსიტეტის დიპლომზე კვლავ მიუთითებს მის მდედრობით სქესზე. მას ყოველდღიურ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი დაბრკოლებები და სირთულეები ხვდებოდა და იმდენად გარიყულად იგრძნო თავი, რომ თვითმკვლელობისკენ მიდრეკილებაც გაუჩნდა.

კანონმდებლობა: მე-3 მუხლი - ვინაიდან განმცხადებელი განიცდიდა სრულიად გასაგებ ტკივილსა და ფრუსტრაციას, გარემოებები არ იყო იმდენად ინტენსიური და არ მოიცავდა საგამონაკლისო, სიცოცხლისათვის საფრთხის შემქმნელ პირობებს, რომ ამ მუხლის მოქმედება გავრცელებულიყო.

დადგენილება: დარღვევას არ ქონდა ადგილი (ექვსი ხმა ერთის წინააღმდეგ).

მუხლი 8 - ლიტვური კანონმდებლობა აღიარებდა ტრანსსექსუალების უფლებას არა მარტო სქესის შეცვლაზე, არამედ ასევე სამოქალაქო სტატუსის შეცვლაზეც. თუმცა, კანონმდებლობაში იყო ხარვეზი, არ არსებობდა სქესის შეცვლის ოპერაციის მარეგულირებელი კანონმდებლობა. კანონის მიღებამდე ნაკლებად სავარაუდო იყო

გონივრულად ხელმისაწვდომი და მისაღები სამედიცინო საშუალებები. რის შედეგადაც განმცხადებელი ოპერირებისწინა ტრანსსექსუალის შუალედურ მდგომაროებაში აღმოჩნდა, ჩაიტარა რა ნაწილობრივი ოპერაცია და შეიცვალა მნიშვნელოვანი სამოქალაქო სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტები. სრული ქირურგიული პროცედურის გავლამდე მისი პირადი კოდი არ შეიცვლება და ის რჩება ქალად პირადი ცხოვრების მნიშვნელოვანი მიმართულებით, როგორიც არის დასაქმება და საზღვარგარეთ გამგზავრება. საკანონმდებლო ხარვეზმა განმცხადებელი დატოვა მტანჯველ გაურკვევლობაში მის პირად ცხოვრებასთან და მისი ნამდვილი იდენტობის აღიარებასთან მიმართებით. საჯარო სამედიცინო მომსახურების სფეროში საბიუჯეტო სახსრების სიმწირით შეიძლება აიხსნას ტრანსსექსუალების სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული უფლებების განხორციელების დაგვიანება, მაგრამ არა ოთხი წლით დაგვიანება. ამ პროცესში ჩართული ადამიანების შეზღუდული რაოდენობის გათვალისწინებით, საბიუჯეტო ტვირთი არ შეიძლება იყოს შეუსაბამოდ მძიმე. შესაბამისად სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო საჯარო ინტერესსა და განმცხადებლის უფლებებს შორის სამართლიანი ბალანსის დაცვა.

დადგენილება: დარღვევა (ექვსი ხმა ერთის წინააღმდეგ).

მე-12 მუხლი - განმცხადებლის საჩივარი იმის თაობაზე, რომ სქესის შეცვლის ქირურგიული პროცედურის დაუსრულებლობის გამო მან ვერ შეძლო დაქორწინება და ოჯახის შექმნა, ნაადრევია, იმის გათვალისწინებით, რომ სქესის შეცვლის ქირურგიული პროცედურის დასრულებისთანავე მოხდება მისი მამრობით სქესის აღიარება და შეიძენს ქალზე დაქორწინების უფლებას.

დადგენილება: ცალკე განხილვის აუცილებლობა არ არსებობს (ექვსი ხმა ერთის წინააღმდეგ).

41-ე მუხლი - მოპასუხე სახელმწიფოს შეუძლია დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა მატერიალურ ზიანთან დაკავშირებით გადაწყვეტილების ძალაში შესვლიდან სამი თვის ვადაში დამატებითი კანონმდებლობის მიღებით. აღნიშნულის შეუსრულებლობის შემთხვევაში, მოპასუხე სახელმწიფო ვალდებულია განმცხადებელს გადაუხადოს 40 000 ევრო საჭირო ქირურგიული ჩარევის საზღვარგარეთ დასასრულებლად. განმცხადებლისთვის განისაზღვრა 5 000 ევრო არამატერიალური ზიანის სანაცვლოდ.